



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZESTAFONI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ22.222225013

თარიღი:07/09/2022

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი
სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის „ე“ პუნქტის ე.ე. და ე.ი ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე და 54-ე მუხლებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2011 წლის 08 ივლისის N 385 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7).

ვასილ გველესიანი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

